

პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



K 113.528/3



საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნა“


ეროვნული
ბიბლიოთეკა

113-528

3

მ. ნეღია

საქართველოს კურორგები

9

სერია მესამე

მედიცინა

თბილისი
1963

პროფ. მ. ნოდია

საქართველოს ქურორტები

საბჭო-2000
თბილისი



სახელმწიფო გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო“
თბილისი
1968

615.8(C41)
614. 213 (47.922)
5781



ავტორი მიხეილ იულონის ძე ნოდია
რედაქტორი პროფ. ვ. გერსამია
გამომცემლობის რედაქტორი დ. გეგენავა
ტექნორედაქტორი ე. აბდუშელიშვილი
კორექტორი ლ. არჩვაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 24.XII.63 წ. ქალაქის ზომა 60×84¹/₁₆;
ნაბეჭდი თაბახი 1,75; საავტორო თაბახი 1,3;

ფასი 10 კაპ.

უე 12423.

ტირაჟი 13.400.

შეკვ. № 1987.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი „კომუხიტი“, თბილისი,
ლენინის ქ. № 14.

Типография № 1, Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

პარტია და საბჭოთა მთავრობა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და მათი კულტურული დონის ამაღლებისათვის დაუღალავ ბრძოლასთან ერთად განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ საკურორტო მეურნეობის შემდგომ განვითარებას და მისი ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორების რაციონალურად გამოყენებას.

საქართველო განსაკუთრებით მდიდარია სხვადასხვა სახის ბალნეოლოგიური და კლიმატური კურორტებით. საქართველოს ტერიტორიაზე დღეისათვის გამოვლინებული და აღრიცხულია 1300-ზე მეტი მინერალური წყლის გამოსავალი; ამ წყლების ნახევარზე მეტი შესწავლილია ფიზიკურ-ქიმიური თვალსაზრისით. გამოვლინებულ მინერალურ წყართა შორის გვხვდება საერთოდ ბუნებაში არსებული და მინერალური წყლების თანამედროვე კლასიფიკაციით გათვალისწინებული თითქმის ყველა ტიპის წყალი.

მიუხედავად იმისა, რომ ჰიდროგეოლოგიური საძიებო სამუშაოები ჯერჯერობით ზემონახსენები მინერალური წყლების საბადოების მხოლოდ მცირე ნაწილშია ჩატარებული, ამ წყაროების სადღეღამისო დებიტი დაახლოებით 85.000.000 ლიტრს აღწევს, ამავე დროს ამ დებიტის დაახლოებით ნახევარი (40 მილიონ ლიტრზე მეტი) თბილ და ცხელ მინერალურ წყლებზე მოდის, მათ შორის 40% — ნახშირმყავა და 25%-მდე — გოგირდ-წყალბადიან წყლებზე. ეს იძლევა საფუძველს, რომ მომავალში ჰიდრომინერალური რესურსების უამრავი მარაგის გამოვლინების შესაძლებლობა ვივარაუდოთ.

ფიზიკურ-ქიმიური თვისებების მიხედვით ამ მეტად სხვადასხვანაირ მინერალურ წყალთა შორის გვხვდება ისეთი ძვირფასი წყლები, როგორც არის ბორჯომის, ნაბეღლავის (ვიშის ტიპისა — საფრანგეთი), ზვარე, ძაუ-სუარი (ესენტუკის ტიპისა), ქლორიდულ-კალციუმიანი წყალი ლუგელა (ქლორკალციუმის 10%-იანი ხსნარი), რომელიც დღეისათვის ცნობილია, როგორც უნიკალური; საქართველოს სამხედრო გზის რაიონის ნარზანთაგან, სადაც მინერალური

წყლების ძირითადი გამოსავალი ადგილების რაოდენობა რამოდენადაა აღემატება (ფასანაური, კობი, სიონი, თრუსოს ხეობა ყაზბეგის რაიონში და სხვ.), ერთ-ერთის სადღელამისო დებეტი 20.000.000 ლიტრს უდრის. საბჭოთა კავშირში სახელგანთქმული საირმის ტიპის წყლები გამოსავალს პოულობენ საქართველოს სხვა რაიონებშიც (მუაში — ქვემო სვანეთში, ნაბეღლავი — მახარაძის რაიონში, ვაჟას წყარო — დუშეთის რაიონში, ბალიათი — სამხრეთ ოსეთში, ჯავის რაიონში და სხვ.); ასეთთა რიცხვს განეკუთვნება რკინიან-დარი-შხანიანი წყაროები (ზუბი—ცაგერის რაიონში, ვარძია—ახალციხის რაიონში, ავადპარა — გაგრის რაიონში და სხვ.), თბილი გაზიანი რადიაქტიური წყაროები (წყალტუბოში — 20.000.000 ლიტრზე მეტი სადღელამისო დებიტით), ჰიპერთერმული და თერმული (ცაიში — ზუგდიდის რაიონში, ნაქალაქევი — ცხაკაიას რაიონში, ხორგა, ბია—ზუგდიდის რაიონში, ტყვარჩელი — ოჩამჩირის რაიონში) და სხვა მეტად რთული შემადგენლობის წყლები, რომელთა სადღელამისო დებიტი მრავალი მილიონი ლიტრით განისაზღვრება.

ყურადღების ღირსია აგრეთვე მთელი რიგი მეტად ძვირფასი თბილი და ცხელი მინერალური წყლები, როგორცაა, მაგალითად, აბასთუმნის, თბილისის, ციხისჯვრის, ნუნისის (ხარაგაულის რაიონში), სულორის (მაიაკოვსკის რაიონში), თორღვას აბანოს წყალი (თელავის რაიონში) და სხვ.

სამკურნალო თვალსაზრისით ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე კუმისის, გლდანის (გარდაბნის რაიონი), ჯვარის ტბების (დუშეთის რაიონი), კურორტ ახტალის სოპკების ტალახი, დასავლეთ საქართველოს ტორფისა და ზოგიერთი სხვა ტალახი.

2 რელიეფის სირთულე (უმაღლესი, მარად თოვლით დაფარული ყინულოვანი მთის მწვერვალები და სუბტროპიკული, თბილი შავი ზღვის სანაპიროებით) განაპირობებს საქართველოს კლიმატისა და მიკროკლიმატის მრავალფეროვნებას. აქ წარმოდგენილია თითქმის ყველა ტიპის კლიმატი ტროპიკული კლიმატის გამოკლებით. რელიეფისა და კლიმატის ასეთი მრავალფეროვნების გამო საქართველო განსაკუთრებით მდიდარია პირველხარისხოვანი კლიმატ-თერაპიული ადგილებით, როგორცაა მთიანი აბასთუმანი, ბაკურიანი, ციხისჯვარი, ცემი, ლიბანი, საკოჭაო, მზეთამზე, მაჭარწყალი, შოვი, ლებარდე, ბახმარო, კოჯორი, მანგლისი, კიკეთი, ჯავა, რიწა, ავადპარა, ბეშუმე, სურამი, წყნეთი, ქვიშხეთი, ახალდაბა, დაბა, წაღ-

ვერი, უწერა და სხვ. მეტად მოხერხებული საბანაო პლაჟები, რომლებიც ხასიათდება სხვადასხვა მიკროკლიმატური თავისებურებით, განლაგებულია შავი ზღვის მთელ სანაპიროზე საქართველოში. ყურადღებას იმსახურებს ქობულეთი, ციხისძირი, მწვანე კონცხი, მანინჯაური, ბათუმი, გაგრა, ახალი ათონი, გუდაუთა, სოხუმი, ლესელიძე, გულრიფში, ანაკლია-თიკორი, მალთაყვა-გრიგოლეთი და სხვ.

საქართველოს კურორტებისა და სამკურნალო ადგილების უმრავლესობა მდებარეობს ლამაზ რაიონებში, რომლებიც მდიდარია ქართული ხალხის უძველესი მატერიალური კულტურის ისტორიული ძეგლებით. ისინი იზიდავენ უამრავ ექსკურსანტს, ტურისტს და ტურიზმის განვითარებისათვის მეტად ხელსაყრელ პირობებს ქმნიან.

გარდა ამისა, საქართველოში ყველა პირობაა ალპინიზმის განვითარებისათვის, ყოველწლიურად ათასობით ალპინისტი მიემართება კავკასიონის უმაღლესი მწვერვალებისაკენ (ყაზბეგი, იალბუჯი, თეთნულდი, უშბა და სხვ.).

გეოგრაფიული პირობების თავისებურება, რელიეფის მრავალფეროვნება, ტბების, ზღვების, მთების, მინდვრების სიმრავლე, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიას სხვადასხვა მიმართულებით სერავენ, განაპირობებს კლიმატისა და ნიადაგის ზედაპირის სხვადასხვაობას და მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს მრავალფეროვნებას. როგორც ცნობილია, საქართველო სუბტროპიკული კულტურებით მეტად მდიდარი მხარეა, სადაც ძირითადად განვითარებულია მევენახეობა, ჩაის, თამბაქოს, ციტრუსების მეურნეობა და სხვ.

აღმოსავლეთ საქართველოს ველები მშრალი კლიმატის ელემენტებით ხელსაყრელ პირობებს ქმნიან მეცხოველეობისა და მევენახეობის განვითარებისათვის, რაც თავის მხრივ ამ რაიონში კუმისით და ყურძნით მკურნალობის ბაზის განვითარებას განაპირობებს. აღნიშნული პირობები აქ ხელს უწყობს აგრეთვე თირკმლების დაავადებათა მკურნალობის ორგანიზაციას.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ჩვენი ქვეყნის წამყვანი კურორტები უმწეო მდგომარეობაში იყო. ისინი მოსახლეობის უმცირესი ნაწილის — მეფის პრივილეგირებული ჩიროვნიკების გასართობი ადგილის მოვალეობას ასრულებდნენ.

იმ დროს ბორჯომი და აბასთუმანი მთლიანად დიდ მთავრებს რომანოვებს ეკუთვნოდა, წყალტუბოში ადგილობრივი აზნაურები ბატონობდნენ. გაგრა ეკუთვნოდა პრინც ოლდენბურსკის, თბილისის თბილი გოგირდიანი წყლები — თავად ორბელიანების, ბებუთოვე-

ბისა და სხვათა სარგებლობაში იყო, ახალი ათონი ბერებს ეკუთვნოდა და ა. შ.

სოხუმში მუშაობდა ტუბერკულოზის ერთი კერძო სანატორიუმე (30 საწოლით) და პანსიონატი (40 საწოლით), რომლებითაც მოსახლეობის მხოლოდ მცირე, შეძლებული ნაწილი სარგებლობდა. კურორტი წყალტუბო პრიმიტიულ, ანტისანიტარულ პირობებში იმყოფებოდა და მისი სამკურნალო წყაროების შემოსავალი მთლიანად მტაცებელ-ექსპლოატატორთა ჯიბეებში ჩადიოდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასთან დაკავშირებით მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა. კურორტები სახელმწიფოს, ხალხის საკუთრებად გახდა და ჯანდაცვის ორგანოთა განკარგულებაში გადავიდა. საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში საქართველოში ორგანიზებულ იქნა კეთილმოწყობილ კურორტთა, სანატორიუმთა, პანსიონატთა, დასასვენებელ სახლთა ახალი ქსელი.

ამ დროს პირველად წარმოიშვა და მუშაობა დაიწყო საკურორტო სამკურნალო-პროფილაქტიკურმა დაწესებულებებმა წყალტუბოში, მენჯში, საირმეში, შოვში, ახტალაში, სურამში, ჯავაში, ბახმაროში, ლეზარდეში, ცაიშში, ბორჯომის რაიონში (წაღვერი, ცემი, ლიბანი, ბაკურიანი), თბილისის კურორტებზე (კოჯორი, მანგლისი, წყნეთი) და აგრეთვე აფხაზეთსა და აჭარაში, რომლებიც განლაგებული არიან შავი ზღვის უმშვენიერეს სანაპიროებზე (ქობულეთი, ციხისძირი, მწვანე კონცხი, მახინჯაური, ახალი ათონი, გუდაუთა, განთიადი, ლესელიძე და სხვ.).

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი და მრავალი სხვა კურორტი და სამკურნალო-პროფილაქტიკური საკურორტო დაწესებულება საბჭოთა წყობილების ღვიძლი შვილებია.

მნიშვნელოვანი რეკონსტრუქცია ჩატარდა სახელგანთქმულ ბალნეოკლიმატურ კურორტ ბორჯომში, მთის კლიმატურ კურორტ აბასთუმანსა და ზღვის სანაპირო კურორტებში—გაგრასა და ახალ ათონში. ამ კურორტებზე აღმოცენდა გიგანტური კომფორტაბელურ სასანლეთა — სანატორიუმთა დიდი ქსელი; ისინი საერთო-საკავშირო მნიშვნელობის კურორტებად გადაიქცნენ.

სოხუმი და ბათუმი თვალსაჩინო ქალაქ-კურორტებია მდიდარი სუბტროპიკული პარკებით და ფართო სამედიცინო პლაჟებით.

წყალტუბო პრიმიტიული მივარდნილი სამკურნალო ადგილიდან ჩვენ თვალწინ საკავშირო მნიშვნელობის პირველხარისხოვან კომფორტაბელურ კურორტად იქცა.

ყს
მოსახლეობისათვის ბალნეო და კლიმატოთერაპიული დახმარების საქმეში დიდ როლს ასრულებს არა ერთი ათეული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტი. ამ კურორტთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვან რაღღებას იმსახურებს ლებარდე, ნუნისი, ნაბელლავი, სკურნი, გორისჯვარი, თორღვას აბანო, შაქრიანი, ოქტომბრიანი, ზვარე, ზეკარი, ნაქალაქევი, ბეშუმი, ბია, ანაკლია, ვაყას აბანო, მუაში, ნაგუთნი, რიწა-ავადპარა, ხოვლე, აერო, ფასანაური და მრავალი სხვ. მათს უმრავლესობას სააბაზანო შენობები, სანატორიუმები, პანსიონატები, დასასვენებელი სახლები და პოლიკლინიკა-ამბულატორიები აქვთ. ისინი ძირითადად ემსახურებიან კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების, ჩაის პლანტაციების, ფაბრიკებისა და ქარხნების და აგრეთვე ქვანახშირის მრეწველობის მუშებს, რადგანაც მათთან ახლოს იმყოფებიან, ეს კი ადვილებს ამ საკურორტო ფაქტორების ფართო გამოყენებას.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოს კურორტების სამკურნალო ფაქტორების შესწავლა შემთხვევით ხასიათს ატარებდა. საბჭოთა ხელისუფლების დროს, განსაკუთრებით 1931 წლიდან, გეგმაზომიერი, სისტემატური სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები გაიშალა რესპუბლიკის როგორც უკვე ცნობილი, ისე ახლად გამოვლინებული კურორტების სამკურნალო ფაქტორების ფორმირებისა, ორგანიზმზე მათი გავლენის შესწავლისა და ამ სამკურნალო ფაქტორების მიზანშეწონილი გამოყენების მეთოდების დადგენის დარგში.

ამ მუშაობას სათავეში ჩაუდგა საქართველოში 1926 წელს დაარსებული ფიზიოთერაპიისა და კურორტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, თავისი ფილიალებით — სოხუმში, წყალტუბოსა და ბათუმში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო და თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტების კათედრების და კლინიკების მუშაკთა უშუალო მონაწილეობით.

სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შედეგად დადგენილ იქნა საქართველოს კურორტებზე მკურნალობის ჩვენება-წინააღმდეგე ჩვენებანი და ამ კურორტების სამკურნალო ფაქტორების კომპლექსური რაციონალური გამოყენების მეთოდები, რომლებიც ჩვენი კურორტების პრაქტიკულ მუშაობაში უკვე დანერგილია.

მოკლედ განვიხილავთ რესპუბლიკის ძირითად წამყვან კურორტებს.

ბორჯომი — ბალნეოკლიმატური კურორტი — მდებარეობს მდი-

ნარე მტკვრისა და მისი შენაკადების — მდ. ბორჯომულასა და გუჯარეთის წყლის თვალწარმტაც ხეობაში, ზღვის დონიდან 800-850 მეტრ სიმაღლეზე.

საქართველოს მრავალ კლიმატურ-ბალნეოლოგიურ და ბალნეო-კლიმატურ კომბინატს შორის ბორჯომის ჯგუფის კურორტებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. აქ განლაგებულია მრავალი სხვადასხვა სიმაღლის მთის კლიმატური სადგურები და მაღალხარისხოვანი მრავალნაირი სამკურნალო მინერალური წყლების გამოსავალები. ამ მეტად მდიდარი კომბინატის ტერიტორია თანდათან გადადის ალპურ ზონაში და კიდევ უფრო ზევით მთავრდება ცხრაწყაროს მთის მწვერვალით (2860 მეტრი), რომელიც ტურისტთა და ექსკურსანტთა საყვარელი ადგილია და სახელგანთქმულია მზის ამოსვლის განსაცვიფრებელი სილამაზით.

ბორჯომის ძირითად სამკურნალო ფაქტორს მსოფლიოში განთქმული ნახშირმჟავა-ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმის (ტუტე-ნახშირმჟავა) მინერალური წყალი და საშუალო მთის კლიმატი წარმოადგენს. ბორჯომის სხვადასხვა წყაროების მინერალური წყლის ბუნებრივი ტემპერატურა სხვადასხვაა და 13-დან 40 გრადუსის ფარგლებში მერყეობს (უკანასკნელ წელს ს. ვაშლოვანში მიღებულია ბორჯომის ტიპის მინერალური წყალი).

ბორჯომში მთელი წლის განმავლობაში მუშაობს საქართველოს პროფსაბჭოს და აგრეთვე სხვადასხვა უწყებათა (სამხედრო, ჯანდაცვის სამინისტროს და სხვ.) სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები, კურორტის პოლიკლინიკა ბალნეო-ფიზიოთერაპიული სამკურნალო მრავალფეროვანი ბალნეო-და ფიზიოთერაპიული პროცედურებით, ფიზკულტურის მოედანი და სხვ.

ჩვენებანი: კუჭნაწლავთა ქრონიკული დაავადებანი, უპირატესად კუჭის წვენის სიმჟავიანობის მომატებულ და ნორმალური შემთხვევები, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის ქრონიკული წყლულოვანი დაავადება, ღვიძლის, ნაღვლის ბუშტისა და საშარდე გზების ქრონიკული დაავადებანი; ნივთიერებათა ცვლის დაავადებანი (ნიკრისის ქარი, დიაბეტი, სიმსუქნე), გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებანი — ძირითადად ზემოთ ჩამოთვლილ დაავადებებთან კომბინირებული შემთხვევები.

წყალტუბო საბჭოთა კავშირში სახელგანთქმული ბალნეოლოგიური კურორტია. იგი მდებარეობს ქალაქ ქუთაისიდან 11 კილომეტრის დაშორებით, ზღვის დონიდან 100 მეტრის სიმაღლეზე. წყალტუბოს

ძირითად ბუნებრივ სამკურნალო ფაქტორს მისი მინერალური წყაროების თერმულ-გაზიანი რადონული წყლები შეადგენს, რომელთა დებიტი დღეღამეში 20 მილიონ ლიტოს აღემატება.

წყალტუბოს სხვადასხვა წყაროების წყლების ბუნებრივი ტემპერატურა $32-35^{\circ}$ ფარგლებში მერყეობს, ხოლო რადიოაქტიურობა — 3-დან 90-მდე მახეს. ერთეულებში.

წყალტუბოში მთელი წლის განმავლობაში მუშაობს საქართველოს პროფსაბჭოს სანატორიუმები, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს სპეცსამკურნალო სამმართველოს სანატორიუმი, საქართველოს ფიზიოთერაპიისა და კურორტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფილიალი, სამხედრო სამინისტროს სანატორიუმი, კურორტის ორი პოლიკლინიკა, რვა კეთილმოწყობილი სააბაზანო შენობა, კურორტის კომფორტაბელური სასტუმრო, ფიზკულტურის მოედანი და სხვ.

ჩვენებანი: ქრონიკული რევმატიზმული დაავადებანი (გულის, სახსრების, კუნთების), მოძრაობის ორგანოთა სხვადასხვა ეთიოლოგიის დაავადებანი, პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადებანი (ნევრალგიები და ნევრიტები), ნერვული სისტემის ფუნქციური დაავადებანი, გინეკოლოგიური და კანის ქრონიკული დაავადებანი.

აბასთუმანი საკავშირო მნიშვნელობის მთის პირველხარისხიანი კურორტია. იგი მდებარეობს 1.200—1.700 მეტრ სიმაღლეზე ზღვის დონიდან ახალციხის რაიონში, კურორტ ბორჯომიდან 75 კილომეტრის დაშორებით, ქალაქ ახალციხიდან 30 კილომეტრზე. აბასთუმანი მსოფლიოში ცნობილია თავისი მთის კლიმატით, ფიჭვის სურნელებით ნაჯერო სუფთა ჰაერით. აბასთუმანი ცნობილია აგრეთვე თავისი ცხელი მინერალური წყლებით, რომელთა ბუნებრივი ტემპერატურა 48° -ს აღწევს.

აბასთუმანში მთელი წლის განმავლობაში მუშაობს საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს სანატორიუმები, საქართველოს ტუბერკულოზური ინსტიტუტის ფილიალი-სტაციონარი, კურორტის პოლიკლინიკა, კომფორტაბელური ბალნეოსამკურნალო სააბაზანო ფიზიოთერაპიული განყოფილებით, ფიზკულტურის მოედანი, აეროსოლარიუმები, სასტუმრო, სანიტარული სადგური და სხვ.

ჩვენებანი: ძირითადად სასუნთქი ორგანოების ტუბერკულოზი (უპირატესად ღია აქტიური ფორმები).

წალკერი — კლიმატობალნეოლოგიური კურორტი — მდებარეობს ამავე სახელწოდების რკინიგზის სადგურთან — სადგურ

ბორჯომიდან 12 კმ მანძილზე. წალვერის ტერიტორიის სიმაღლე ზღვის დონიდან განისაზღვრება 1.020—1.100 მეტრით და ყოველი მხრიდან დაცულია წიწვიანი ტყით დაბურული მთებით.

წალვერის ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორებია საშუალო მთის კლიმატი და ნახშირმჟავა რკინიან-ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმ-კალციუმიანი მინერალური წყლები. კურორტზე მუშაობს საქართველოს პროფსაბჭოს მოზრდილთა დასასვენებელი სახლი, პოლიკლინიკა, ფიზკულტურის მოედანი და სხვ.

ჩვენებანი: პლევრისა და ლიმფური ჯირკვლების ტუბერკულოზის დაბურული ფორმები, სასუნთქი ორგანოების არა ტუბერკულოზური დაავადებანი, შეორადი ანემია და სხვ.

ბაკურიანი — მაღალ მთის კლიმატური სადგური — ბორჯომიდან 37 კილომეტრის მანძილზე, ზღვის დონიდან 1650—1800 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს. ასწლოვანი წიწვიანი ტყეები და ალპური ველები მას განსაცვიფრებელ სილამაზეს ანიჭებენ.

ბაკურიანი ცნობილია, როგორც სამთო-სათხილამურო სპორტის საუკეთესო საკავშირო ბაზა. აქ მთელი წლის განმავლობაში მუშაობს საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ბავშვთა სანატორიუმი და აგრეთვე ტურისტული ბაზა ბაკურიანი ძირითადად მაღალ მთის კლიმატური პროფილაქტიკური სადგურია. აქ ნაჩვენებია სამკურნალოდ სასუნთქი ორგანოების არატუბერკულოზური დაავადებანი, მეორადი ანემია, რაქიტი, ლიმფადენიტები და სხვ.

ლიბანი — მთის კლიმატური სადგური მდებარეობს ბორჯომ-ბაკურიანის რკინიგზის ხაზზე, ბორჯომიდან 22 კილომეტრის დაშორებით, ზღვის დონიდან 1.373 მეტრ სიმაღლეზე. აქ მდიდარი წიწვიანი ტყით შემოსილი მთის ფერდობებით გარშემორტყმულ მშვენიერ პლატოზე მუშაობს სანატორიუმი, სადაც ფილტვების ტუბერკულოზით დაავადებულებს მკურნალობენ. ლიბანი ცნობილია მთის კლიმატის მაღალი მაჩვენებლებით. სანატორიუმი მუშაობს მთელი წლის განმავლობაში.

ჩვენებანი იგივეა, რაც აბასთუმანისათვის.

დიდი ცემი — მდებარეობს ბორჯომ-ბაკურიანის რკინიგზის ხაზზე. თანამოსახელე რკინიგზის სადგურთან ლამაზად გაშლილ ფართო პლატოზე, კურორტ წალვერიდან 1—1 $\frac{1}{2}$ კილომეტრის დაშორებით, ზღვის დონიდან 1.150—1.200 მეტრ სიმაღლეზე. ცემი, როგორც პირველხარისხოვანი მთის კლიმატური სადგური, კარგა ხანია ცნო-

ბილია. აქ მუშაობს საბავშვო სანატორიუმი, საქართველოს პროფსაბჭოს სანატორიუმი მოზრდილთათვის და სხვ.

ჩვენებანი იგივეა, რაც წალვერისათვის.

სურამი საშუალო სიმაღლის მთის კლიმატური სადგურია. უჭირავს ლამაზი ტერიტორია, რომელიც დაცულია დასავლეთიდან სურამის ქედით და დაფარულია წიწვიან-ფოთლოვანი მცენარეებით. სურამის სიმაღლე ზღვის დონიდან 750—850 მეტრს აღწევს. იგი რაიონის ცენტრიდან და რკინიგზის სადგურ ხაშურიდან 4—5 კილომეტრით დაშორებულია.

სურამს ახასიათებს განსაკუთრებით თავისებური კლიმატური პირობები. ამასთან ერთად აქვე პოვეს გამოსავალი სურამის (ბიჯხისის და ჩუმათელეთის) გოგირდიანმა წყლებმა, რომლებმაც სურამს მაღალხარისხოვანი კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტის სახელი მოუპოვეს.

სურამში მთელი წლით მუშაობს საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს საბავშვო სანატორიუმები, საქართველოს პროფსაბჭოს სანატორიუმი მოზრდილთათვის, კურორტის პოლიკლინიკა, ბალნეოლოგიური სამკურნალო-სააბაზანო, სასტუმრო და სხვ.

ჩვენებანი: სასუნთქი ორგანოების არატუბერკულოზური დაავადებანი, ლიმფადენიტები, მეორადი ანემია, მალარია და სხვ.


კურორტი მუშაობს მთელი წლის განმავლობაში.

მენჯი (საქართველოს მაცესტა) ბალნეოლოგიური კურორტია. იგი მდებარეობს მდინარე ცივის ნაპირზე რაიონის ცენტრის ქალაქ ცხაკაიას რკინიგზის სადგურიდან 3 კილომეტრის დაშორებით, ზღვის დონიდან 50-100 მეტრის სიმაღლეზე. მენჯის ძირითად ბუნებრივ სამკურნალო ფაქტორს შეადგენს გოგირდწყალბადიანი — ქლორიდულ-ნატრიუმიანი მინერალური (მაცესტის ტიპის) წყალი.

მენჯში მთელი წლის განმავლობაში მუშაობს საქართველოს პროფსაბჭოს სანატორიუმები, ამიერკავკასიის რკინიგზის სანატორიუმი, დიდი სააბაზანო შენობა, კურორტის პოლიკლინიკა, პანსიონატი და სხვ.

ჩვენებები: გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებანი, მოძრაობის ორგანოთა ქრონიკული დაავადებანი, პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადებანი, ჰიპერტონიული დაავადება, გინეკოლოგიური და კანის ზოგიერთი ქრონიკული დაავადება.

შოვი — მაღალმთიანი კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი მდებარეობს ონის რაიონში, რაიონის მარცხენა შენაკადის მდინარე



ჭანჭახის მეტად ლამაზ ხეობაში 1600—1650 მეტრ სიმაღლეზე ზღვის დონიდან. კურორტი უკავშირდება ქალაქ ქუთაისს (144 კმ) საზღვრეთ ოსეთის გზით, რომელიც ჯერ ბალნეოკლიმატურ კურორტს უწევს (1040 მეტრი), შემდეგ შოვს გაუვლის და მამისონის უღელტეხილით გადადის ჩრდილოეთ ოსეთში.

შოვი გარშემორტყმულია წიწვიანი და ნაწილობრივ ფოთლოვანი ტყეებით შემოსილი მაღალი მთებით და მარად თოვლიან-ყინულიანი მწვერვალებით. თავისი კლიმატური მაჩვენებლებით და ბუნების განსაცვიფრებელი სილამაზით შოვი საბჭოთა კავშირის მაღალმთიან კლიმატურ სადგურთა შორის ერთ-ერთ პირველ ადგილს ინარჩუნებს. შოვის სამკურნალო თვისებებს საგრძნობლად ამაღლებს მისი ძირითადად ნახშირმჟავა-რკინიან-ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმ-კალციუმიანი წყლები.

შოვში მუშაობს საქართველოს პროფსაბჭოს სანატორიუმები, პოლიკლინიკა, ტურისტული ბაზა, აეროსოლარიუმი, სასტუმრო და სხვ.

ჩვენებანი: სასუნთქი ორგანოების არატუბერკულოზური დაავადებანი, ლიმფადენიტები, მეორადი ანემია და სხვ.

ბახმარო — მაღალმთიანი კლიმატური კურორტი — მდებარეობს შახარაძის რაიონში, მდ. ბახვის წყლის ლამაზ ხეობაში, ზღვის დონიდან 1950 მეტრ სიმაღლეზე. ასწლოვანი წიწვიანი ტყით შემოსილი მთების კალთებზე. ოხონირებულმა სუფთა ჰაერმა, ძთისა და ზღვის შეზავებულმა რბილმა კლიმატმა და მზის უხვმა რადიაციამ ამ კურორტს დამსახურებული პოპულარობა მოუხვეჭა.

ბახმაროზე მუშაობს საქართველოს პროფსაბჭოს სანატორიუმი, დასასვენებელი სახლები, პოლიკლინიკა, აეროსოლარიუმი, სასტუმრო და სხვ.

ჩვენებანი: ლიმფური ჯირკვლებისა და სეროზული აპკების ტუბერკულოზი, სასუნთქი ორგანოების არატუბერკულოზური დაავადებანი, რაქიტი, მეორეული ანემია და სხვ. კურორტი მუშაობს ივნის-სექტემბრის თვეებში.

საირმე — ბალნეოკლიმატური კურორტი — მდებარეობს მაიაკოვსკის რაიონში, მდინარე წაბლარის ლამაზ ხეობაში, ქ. ქუთაისიდან 50 კმ მანძილზე, ზღვის დონიდან 900—950 მეტრ სიმაღლეზე. საირმეს საშუალო სიმაღლის მთის თბილი და ზომიერად ტენიანი კლიმატი ახასიათებს. მაგრამ საირმის ძირითად ბუნებრივ სამკურნალო ფაქტორს საბჭოთა კავშირში სახელგანთქმული ნახშირმჟავა-

ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმ-კალციუმის მინერალური წყალი შე-
ადგენს.

საირმეში მუშაობს პროფსაბჭოს სანატორიუმი, პოლიკლინიკა,
სასტუმრო და საუწყებო დასასვენებელი სახლები.

ჩ ვ ე ნ ე ბ ა ნ ი: თირკმელთა კენჭოვანი დაავადება, თირკმლის ფი-
ლების, საშარდე ბუშტის, ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის, კუჭ-ნაწლავ-
თა და ნივთიერებათა ცვლის დაავადებები.

მისასვლელი გზები: რკინიგზით სადგ. ქუთაისამდე და იქიდან კუ-
რორტამდე ავტობუსით (50 კმ). სეზონი: ივნისი—ოქტომბერი.

ახტალა ტალახით სამკურნალო კურორტია, მდებარეობს რკინი-
გზის სადგურ გურჯაანიდან ნახევარი კილომეტრის მანძილზე და
ზღვის დონიდან 412 მეტრ სიმაღლეზე. ახტალას ახასიათებს ზომიერ-
ად კონტინენტური თბილი კლიმატი. კურორტის ძირითად სამკურ-
ნალო ფაქტორს წარმოადგენს მისი ფსევდოვულკანური (სოპკების)
ტალახი.

ჩ ვ ე ნ ე ბ ა ნ ი: მოძრაობის ორგანოთა ქრონიკული დაავადებანი,
პერიფერიული ნერვული სისტემის, გინეკოლოგიური და აგრეთვე
კანის ქრონიკული დაავადებანი.

კურორტზე მუშაობს მოზრდილთა და ბავშვთა სანატორიუმები,
ტალახით სამკურნალო სააბაზანო, პოლიკლინიკა და სხვ.

მდებარე კლიმატობალნეოლოგიური კურორტია, მდებარეობს
გეგეჭკორის (ყოფილი მარტვილის) რაიონში ზღვის დონიდან 1300—
1600 მეტრ სიმაღლეზე. კურორტი თითქმის თანასწორი მანძილით
(75—80 კმ) არის დაშორებული რკინიგზის სადგურებს — ზუგდიდს,
ცხაკაიას, აბაშასა და სამტრედიას და მათ მდ. ტეხურის გასწვრივ
მდებარე საავტომობილო გზით უკავშირდება.

წიწვიანი და ფოთლოვანი ტყით შემოსილ მთის კალთებს, რომ-
ლებზეც გაშლილია კურორტის ტერიტორია, მუდმივი თოვლით და
მყინვარებით დაფარული სვანეთის მთების მწვერვალები დაჰყურებს.
თვით კურორტიდან კი კარგად მოჩანს კოლხეთის ველი და შავი
ზღვის ნაპირი. ზღვის ასეთ სიახლოვესთან ერთად მისკენ გაშლილი
ჰორიზონტი ხელს უწყობს ზღვის ჰაერის დინების კურორტის ტერი-
ტორიამდე მიღწევას, რაც შემარბილებელ გავლენას ახდენს მთის
ჰავაზე. აქვე არსებული ნახშირმყავა-ჰიდროკარბონატულ-კალციუმ-
ნატრიუმის მინერალური წყლები კიდევ უფრო ამდიდრებენ კუ-
რორტს და უზრუნველყოფენ კომბინირებულ მკურნალობას.

ჩვენებანი იგივეა, რაც კურორტ შოვისათვის.

ჩავა ბალნეოკლიმატური კურორტია, მდებარეობს სამხრეთ-ოსეთში, ქ. ცხინვალიდან 22 კმ მანძილზე მდ. დიდი ლიახვის მარჯვენა მხარეზე. ჩავა გარშემორტყმულია ბუმბერაზი მთების მასივებით, რომლებიც დაფარულია წიწვიან-ფოთლოვანი ტყეებით. ჩავის ბუნებრივ სამკურნალო ფაქტორებს წარმოადგენენ ნახშირმჟავა-ქლორიდულ-ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმის (ტუტემარილიანი) მინერალური წყლები (ესენტუკის ტიპისა) და საშუალო სიმაღლის (1040 მეტრი) მთის კლიმატი.

აქ მუშაობს საქართველოს პროფსაბჭოს მოზრდილთა და ბავშვთა სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები. აქვეა მინერალური წყლის ჩამომსხმელი ქარხანა.

ჩვენებანი: კუჭ-ნაწლავთა ქრონიკული დაავადებანი უპირატესად კუჭის წვენის დაქვეითებული და ნორმალური მჟავიანობით, ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის ქრონიკული დაავადებანი და აგრეთვე ნივთიერებათა ცვლის დაავადებანი.

მისასვლელი გზები: რკინიგზის სადგურ გორიდან ცხინვალამდე და შემდეგ ავტობუსით (22 კმ). კურორტი მუშაობს ივნისიდან ოქტომბრამდე.

სოხუმი საქართველოს ზღვის სანაპიროს ერთ-ერთი უღამაზესი ქალაქია. იგი ზღვის მაღალხარისხოვანი სანაპირო კლიმატური სადგური და აფხაზეთის ასსრ ადმინისტრაციული ცენტრია. ქალაქი-კურორტი სოხუმი ჩრდილოეთიდან მთებით არის დაცული, რომელთაგან უფრო მოშორებით კავკასიონის მთავარი ქედის მთარხებილიები მოჩანს.

სამკურნალო ფაქტორებია თბილი ტენიანი, რბილი სუბტროპიკული ზღვის კლიმატი, მდიდარი პლაჟი ხანგრძლივი საბანაო სეზონით (მაისი-ნოემბერი) და აეროსოლარიუმები.

სოხუმში მუშაობს სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები, ფიზიოთერაპიული სამკურნალო, საქართველოს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფილიალი თავისი კლინიკით, სამედიცინო პლაჟი აეროსოლარიუმებით და სხვ.

ჩვენებანი: გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებანი, ნერვული სისტემის ფუნქციური დაავადებანი და სასუნთქი ორგანო-

ების არატუბერკულოზური დაავადებანი (ლარინგიტი, ფარინგიტი, ტრაქეიტი, ბრონქიტი და სხვ.).

კურორტი მუშაობს მთელი წლის განმავლობაში.

ახალი ათონი ზღვის სანაპირო კლიმატური კურორტია. იგი მდებარეობს სოხუმიდან ჩრდილოეთით 21 კილომეტრის მანძილზე. კურორტის ტერიტორია შეიცავს ზღვის სანაპირო და ამაღლებულ საკურორტო ზონებს (100—150 მეტრი), რაც ხელს უწყობს ზღვის კლიმატის ფორმირებას, რომელიც ამავე დროს მთის კლიმატის ზოგიერთი თვისების მქონეა.

ახალ ათონში მუშაობს საქართველოს პროფსაბჭოს სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, პოლიკლინიკა, ბალნეოფიზიოთერაპიული სამკურნალო, მშვენიერი პლაჟი აეროსოლარიუმით, სასტუმრო და სხვ.

ჩვენებანი: გულსისხლძარღვთა დაავადებანი, სასუნთქი ორგანოების არატუბერკულოზური დაავადებანი, ნერვული სისტემის ფუნქციური დაავადებანი, მეორეული ანემია და სხვ.

კურორტი მუშაობს მთელი წლის განმავლობაში.

გაგრა — საქართველოს ერთ-ერთი პირველხარისხოვანი ზღვის სანაპირო კლიმატური კურორტია. იგი მდებარეობს ქალაქ სოჭიდან 75 კმ მანძილზე, სოხუმს კი 100 კილომეტრით არის დაშორებული.

სუბტროპიკული პარკი და მოახლოებული მთები (300 მეტრი) იცავენ კურორტს ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის ქარებისაგან და ამავე დროს ქმნიან მრავალფეროვანი მიკროკლიმატების ფორმირების პირობებს. გაგრის სამკურნალო ფაქტორებია მაღალხარისხოვანი ზღვის კლიმატი მდიდარი პლაჟით.

გაგრაში მუშაობს პროფსაბჭოს და მთელ რიგ უწყებათა კომფორტაბელური სანატორიუმები („უკრაინა“, მეჩვიდმეტე პარტიკრილობის სახელობის, შინაგან საქმეთა სამინისტროსი და სხვ.). დასასვენებელი სახლები, პოლიკლინიკა ფიზიოთერაპიული განყოფილებით, ხელოვნური თბობის ზღვის სააბაზანო, ფიზკულტურის მოედანი, მშვენიერი სამედიცინო პლაჟი და სხვ.

ჩვენებანი: ნერვული სისტემის ფუნქციური დაავადებანი, გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებანი, სასუნთქი ორგანოების არატუბერკულოზური დაავადებანი, ლიმფადენიტები, მეორადი სისხლნაკლოვანებანი და გადაღლილობა.

კურორტი მუშაობს მთელი წლის განმავლობაში.

გულრიფში — სოხუმიდან 13 კილომეტრის მანძილზე და სანაპი-

როდახ 3 კილომეტრის დაშორებით, ზღვის დონიდან 120 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს საბჭოთა კავშირში ცნობილი ლენინის სახელობის სანატორიუმი. გულრიფშის მეტად ლამაზი ტერიტორია დაფარულია წიწვიანი და მრავალფეროვანი ტროპიკული მცენარეულობით. გულრიფშში მუშაობს საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს სანატორიუმები, რომლებიც განკუთვნილი არიან სხვადასხვა ორგანოების ტუბერკულოზით დაავადებულთათვის.

მისასვლელი გზები: ქალაქ სოხუმიდან-ავტობუსით. სანატორიუმები მუშაობენ მთელი წლის განმავლობაში ივლის-აგვისტოს გამოკლებით.

+ გუდაუთა— ზღვის სანაპირო კურორტ-ქალაქი — მდებარეობს ამაღლებულ ლამაზ პლატოზე, სოხუმიდან 40 კილომეტრზე ახალათონსა და გაგრას შორის. თავისი კლიმატური პირობებით გუდაუთა სხვა ზღვის სანაპირო კურორტებისაგან განსხვავდება. კურორტის ტერიტორიის თავისუფალი ვენტილაცია ხელს უწყობს კურორტზე ჰაერის ტემპერატურის შენელებას და ამის გამო ზაფხულის თვეებში გუდაუთაში უფრო გრილა, ვიდრე ამავე სანაპიროს სხვა კურორტებზე. გუდაუთაში მუშაობს რამდენიმე სანატორიუმი და დასასვენებელი სახლი; კურორტს აქვს მშვენიერი პლაჟი.

ჩვენებები იგივეა, რაც გაგრასა და ახალი ათონისათვის. სეზონი გრძელდება მთელი წლის განმავლობაში.

+ ქობულეთი— ზღვის სანაპირო კურორტი — მდებარეობს ბათუმიდან 30 კილომეტრზე. ხასიათდება ტერიტორიის მაღალი ვენტილაციით, რაც კურორტის ადგილმდებარეობის გაშლილობასთან დაკავშირებით განპირობებულია მუდმივი ბრიზების მოქმედებით. სწორედ ამ მუდმივი ნიავეთ აიხსნება ქობულეთის უპირატესობა შავი ზღვის სხვა სანაპირო კურორტებთან შედარებით, განსაკუთრებით ზაფხულის ცხელ პერიოდში. დიდ მანძილზე (12 კმ-მდე) გაჭიმული განიერი ქვიშიანი და წვრილ კენჭოვანი პლაჟი მდიდარი წიწვიანი ნარგავებით, შედარებით დაქანებული ზღვის სანაპირო კურორტს დიდ პერსპექტივას უქმნის.

ქობულეთში მუშაობს საქართველოს პროფსაბჭოს სანატორიუმები მოზრდილთა და ბავშვთათვის, სპეცსამკურნალო სანატორიუმი, დასასვენებელი სახლები, სასტუმრო, ხელოვნური თბობის ზღვის სააბაზანო, პოლიკლინიკა, ფიზკულტურის მოედანი, სამედიცინო პლაჟი, აეროსოლარიუმი და სხვ.

ჩ ვ ე ბ ა ნ ი: გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებანი, ნერ-

გული სისტემის ფუნქციური დაავადებანი, სასუნთქი ორგანოების არატუბერკულოზური დაავადებანი, ლიმფადენიტი, მეორეული ანემია, რაქიტი და სხვ.

ციხისძირი — განსაკუთრებული სილამაზის კურორტი, მდებარეობს ბათუმიდან 19 კილომეტრის დაშორებით და ზღვის მთავორიან ნაპირს წარმოადგენს, რომელიც იშვიათად მდიდარი სუბტროპიკული მცენარეულობით არის შემოსილი.

ციხისძირში მუშაობს საქართველოს პროფსაბჭოს სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები. კურორტს აქვს კარგი პლაჟი, სადაც დამსვენებლები და ავადმყოფები ფართოდ იყენებენ ზღვაზე მკურნალობის მთელ კომპლექსს (ზღვაში ბანაობას, მზისა და ჰაერის აბაზანებს).

ჩვენებები იგივეა, რაც ქობულეთისათვის.

✦ მწვანე კონცხი — ზღვის სანაპირო კლიმატური კურორტი ბათუმიდან 8 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. მწვანე კონცხი თვალწარმტაცი სილამაზით ხასიათდება თავისი ადგილმდებარეობისა და ბალ-პარკების სიუხვით. მწვანე კონცხის ფერდობებზე გაშლილია ბათუმის ბოტანიკური ბაღი, სადაც ნახავთ მცენარეთა წარმომადგენლებს თითქმის მთელ მსოფლიოდან.

კურორტზე მთელი წლით მუშაობს საქართველოს პროფსაბჭოს სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები. აქვეა ტურისტთა ბაზა, სამედიცინო პლაჟი და სხვ.

ჩვენებები იგივეა, რაც ქობულეთისათვის.

✦ კურორტი მახინჯაური მდებარეობს ბათუმიდან 6 კილომეტრ მანძილზე, იგი ხასიათდება მწვანე ნარგავთა სიუხვით — ბალ-პარკებით, მოხერხებული სამედიცინო პლაჟით. გარდა ზღვის სანაპიროს სუბტროპიკული კლიმატისა, მახინჯაურის ბუნებრივ სამკურნალო საშუალებათა შორის აღსანიშნავია მახინჯაურის გოგირდიანი მინერალური წყაროები.

კურორტზე მუშაობს საქართველოს პროფსაბჭოს და მთელ რიგ სხვა უწყებათა სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები, აგრეთვე სააბაზანო შენობა და სხვ.

ჩვენებები იგივეა, რაც ქობულეთისათვის, ხოლო მახინჯაურის სუსტი მინერალიზაციის გოგირდიანი წყლის აბაზანა საშუალებას იძლევა ვუმკურნალოთ ძირითად დაავადებებთან თანდართულ მოძრაობის ორგანოთა, პერიფერიული ნერვული სისტემის, გინეკოლოგიური, კანის და აგრეთვე გულსისხლძარღვთა სისტემის ზოგი-

ერთ დაავადებას, რომლებიც ნაჩვენებია ბალნეოთერაპიისათვის კურორტი მუშაობს მთელი წლის განმავლობაში. ბათუმი ზღვის სანაპირო ქალაქი-კურორტია, თბილისიდან 349 კმ დაშორებით, კახაბრის ველში მდებარეობს და გარშემორტყმულია მარადმწვანე სუბტროპიკული მცენარეებით შემოსილი მთების კალთებით.

საკურორტო მნიშვნელობის ობიექტებიდან იქ მუშაობს ხელოვნური თბობის ზღვის სააბაზანო, პოლიკლინიკა, ფიზიოთერაპიული სამკურნალო, კომფორტაბელური სასტუმრო, კარგად მოწყობილი სამედიცინო პლაჟი და სხვ.

ჩვენებები იგივეა, რაც ქობულეთისათვის.

საკურორტო სეზონი გრძელდება მთელი წლის მანძილზე. ზღვაში საბანაო სეზონია მაისიდან ნოემბრამდე.

† თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი. საქართველოს დედაქალაქში ზღვის დონიდან 404—550 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს. ბალნეოლოგიურ კურორტს ქალაქის უძველესი ნაწილი—მინერალური წყაროების რაიონი უჭირავს. თბილისის ჰავა თბილი და ზომიერად კონტინენტალურია, რაც ხელს უწყობს მთელ რიგ დაავადებათა ბალნეოთერაპიას.

ბალნეოლოგიური კურორტის ძირითად ბუნებრივ სამკურნალო ფაქტორს წარმოადგენს მისი თერმული და ჰიპოთერმული გოგირდიანი და გოგირდწყალბადიანი წყლები, რომელთა ტემპერატურა 27—47° ფარგლებში მერყეობს და ჯამური დებიტი დღე-ღამეში 3. 000. 000 ლიტრს აღემატება.

1937 წლიდან თბილისის ბალნეოლოგიურ კურორტზე მუშაობს კომფორტაბელური ბალნეოლოგიური დაწესებულება 60 სააბაზანო კაბინით, პოლიკლინიკით, ფიზიოთერაპიული განყოფილებით და ყველა დამხმარე სამკურნალო და დიაგნოსტიკური კაბინეტით და ლაბორატორიებით. კურორტი უზრუნველყოფილია უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტებით.

ჩ ვ ე ნ ე ბ ე ბ ი: მოძრაობის ორგანოთა ქრონიკული დაავადებანი, გულსისხლძარღვთა და პერიფერიული ნერვული სისტემის და აგრეთვე გინეკოლოგიური და კანის ქრონიკული დაავადებანი, ნერვული სისტემის ფუნქციური დაავადებანი.

ბალნეოლოგიური კურორტი მუშაობს მთელი წლის განმავლობაში.

კოჯორი—მთის კლიმატური კურორტი მდებარეობს ზღვის

დონიდან 1300—1400 მეტრ სიმაღლეზე. საქართველოს დედაქალაქ თბილისს დაშორებულია 18 კილომეტრით. კოჯორის საკურორტო ღირსებას მნიშვნელოვნად ამაღლებს მისი სიახლოვე მთაწარის მინისტრაციულ. კულტურულ და სამრეწველო ცენტრთან—თბილისთან, კურორტის ტერიტორიის გაშლილობა, მცენარეთა სიუხვე, ჰაერის ზომიერი ტენიანობა, მზის რადიაციის ხანგრძლიობა და ინტენსივობა ჰაერის მუდმივ მოძრაობასთან ერთად კოჯორის მთის მაღალხარისხოვანი კლიმატოთერაპიული კურორტის სახელს უხვევს.

განსაკუთრებით ძვირფასია კოჯორი ზაფხულის თვეებში, როცა თბილისში მეტად ცხელა ამ დროს კოჯორში ჰაერის ტემპერატურა 6—7 გრადუსით დაბალია, რაც სასიამოვნო სიგრილეს ქმნის. კოჯორი ძირითადად საბავშვო კურორტია. აქ მუშაობს მთელი რიგი სანატორიუმები (მოზრდილთა, მოზარდთა, ბავშვთა), დასასვენებელი სახლები, პიონერთა ბანაკები, პოლიკლინიკა, ფიზკულტურის მოედანი და სხვ.

ჩ ვ ე ნ ე ბ ე ბ ი: სასუნთქი ორგანოების არატუბერკულოზური დაავადებანი (ქრონიკული ბრონქიტი, პლევრიტი, ბრონქული ასთმა), ლიმფადენიტები, მეორადი სისხლნაკლებობა, რაქიტი, რეკონვალესცენტები, მალარია და სხვ.

კურორტი მუშაობს მთელი წლის განმავლობაში. მისასვლელი გზა — თბილისიდან ავტობუსით.

მანგლისი — მთის კლიმატური კურორტი—მდებარეობს თეთრიწყაროს რაიონში თბილისიდან 64 კმ მანძილზე, ზღვის დონიდან 1200 მეტრ სიმაღლეზე. ადგილის გაშლილობა, წიწვიან-ფოთლოვან მცენარეთა სიუხვე, მზის ხანგრძლივი რადიაცია, ჰაერის ზომიერი მოძრაობა, სიმშრალე და სითბო მანგლისს მთის მაღალხარისხოვანი კლიმატური კურორტის ღირსებას ანიჭებს.

მანგლისში მუშაობს კურორტთა სამმართველოს სანატორიუმები (ბავშვთა, მოზრდილთა და მოზარდთა), პოლიკლინიკა, აეროსოლარიუმი და სხვ.

ჩ ვ ე ნ ე ბ ა: ფილტვების ტუბერკულოზის დახურული ფორმები, ლიმფადენიტები, ქრონიკული ბრონქიტი, პლევრიტი, ბრონქული ასთმა, მეორადი ანემია და სხვ.

მისასვლელი გზა: თბილისიდან ავტობუსით.

წყნეთი საშუალო მთის კლიმატური კურორტია (700—1200 მეტრი ზღვის დონიდან). იგი თბილისს დაშორებულია 10 კილო-

მეტრით. მდებარეობს საკმაოდ ღია პლატოზე და დაჰყურებს საქართველოს დედაქალაქს.

კურორტის ტერიტორიის იდეალური ვენტილაციის შედეგად ზაფხულობით წყნეთში საშუალოდ 2, 5° გრადუსით უფრო გრილა, ვიდრე თბილისში.

წყნეთში მუშაობს საბავშვო სანატორიუმი, პიონერთა ბანაკი, დასასვენებელი სახლები, პოლიკლინიკა, აეროსოლარიუმი, ფიზკულტურის მოედანი და სხვ. ჩვენებები იგივეა, რაც კოჯრისათვის.

კიკეთი — მთის კლიმატური კურორტი — მდებარეობს თბილისიდან 27 კილომეტრის დაშორებით, ზღვის დონიდან 1100—1150 მეტრ სიმაღლეზე. კურორტის ტერიტორია მდიდარია ფოთლოვან-წიწვიანი მცენარეულობით. კურორტის სათანადო ვენტილაციას ხელს უწყობს მთის გრილი ქარები.

კიკეთში მუშაობს საბავშვო სანატორიუმი, დასასვენებელი სახლი, პოლიკლინიკა, ფიზკულტურის მოედანი და სხვ.

ჩვენებები იგივეა, რაც კოჯრისათვის.

* * *

როგორც ცნობილია, ნერვიული სისტემა უშუალო მონაწილეობას იღებს და ფაქტიურად განაგებს ორგანიზმის ყველა სასიცოცხლო პროცესს. ადამიანის ორგანიზმის ურთიერთობა გარემოსთან და აგრეთვე თვით ორგანიზმში ყველა მოვლენის ურთიერთკავშირი უპირველეს ყოვლისა თავის ტვინის დიდი ჰემისფეროების ქერქის მოქმედებით ხორციელდება. ორგანიზმში მრავალნაირ ექსტერო და ინტერორეცეპტორების ფართო ქსელის არსებობის პირობებში კურორტული ფაქტორები პირველ რიგში ნერვულ აპარატზე, როგორც გაღიზიანების სხვა ქსოვილებთან შედარებით ყველაზე დაბალი ზღურბლის მქონე ქსოვილზე მოქმედებს. გარეგანი და შინაგანი გამაღიზიანებლების მოქმედებით მთლიან ორგანიზმში რეფლექსური ხასიათის რეაქციები წარმოიშობა. ნერვული სისტემის ყველა ძირითადი პროცესი მიმდინარეობს კანონზომიერად, როგორც ავზნებისა და შეკავების პროცესები.

ფიზიკური აგენტების და მათ შორის კურორტული ფაქტორების მოქმედება სწორედ ამ ძირითად პროცესებს ეხება და დამოკიდებულია თავის ტვინის მარეგულირებელ გავლენაზე. კურორტთერაპიაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მეორე დებულებასაც

—ორგანიზმისა და გარემოს ერთობლიობას. გარემო, რომელშიც მოთავსებულია ავადმყოფი, ორგანიზმზე მოქმედ ფაქტორთა კომპლექსის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. გარეშე დისკომფორტულ პირობებს, არასასიამოვნო ხმაურს, ლაპარაკს და სხვადასხვა სახის აბრაზის შემთხვევითს ახალ გამაღიზიანებლებს შეუძლია გამოიწვიოს ორგანიზმში ახალი არასასურველი რეფლექსები, რამაც საბოლოო ჯამში შეიძლება დააქვეითოს კურორტზე მკურნალობის ეფექტურობა.

არანაკლები როლი მიეკუთვნება მკურნალობის პროცესში ავადმყოფზე სიტყვიერ გავლენას — სიტყვის მნიშვნელობას როგორც მეტად ძლიერ პირობით გამაღიზიანებელს, რომელსაც შეუძლია შეასრულოს როგორც სამკურნალო, ისე პათოგენური ფაქტორის როლი. კურორტთერაპია მიზნად ისახავს მთელი ორგანიზმის გადახალისებას სასურველი მიმართულებით; ეს კი შესაძლებელი ხდება ახალი პირობითი რეფლექსების გამომუშავების შედეგად, რასაც განაპირობებს თვით ნერვული სისტემის განსაკუთრებული ელასტიკურობა.

ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატულ მინერალური წყლების (ბორჯომის, ნაბელღავის, საირმის, ზვარეს, ბალიათის და სხვ.) კუჭის სეკრეციულ და ევაკუაციურ ფუნქციებზე მოქმედების გამოვლინების მიზნით ჩატარებული კლინიკური და ექსპერიმენტული დაკვირვებები შემდეგს გვიჩვენებს: მინერალური წყალი (ოთახის ტემპერატურის), მიღებული 200 მლ რაოდენობით ჰამამდე ერთი საათით ადრე, აქვეითებს კუჭის წვენის გამოყოფას და მის მჟავიანობას. ეს წყალი, მიღებული ჰამის წინ ერთი საათით ადრე, გადადის კუჭიდან თორმეტგოჯა ნაწლავში და, მოქმედებს რა ამ ნაწლავის ლორწოვანი გარსის რეცეპტორებზე, რეფლექსურად იწვევს კუჭის სეკრეციული აპარატის ფუნქციის შეკავებას (დამუხრუჭებას) და ამის შედეგად ქვეითდება, როგორც სეკრეცია, ისე ამ წვენის მჟავეობა. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ იმ დაავადებათა შემთხვევებში, რომელთაც თან სდევს კუჭის წვენის მჟავეობის მომატება, ავადმყოფს ჰამის წინ 1—1,5 საათით ადრე უნდა მიეცეს უგაზო თბილი მინერალური წყალი.

მინერალური წყალი, მიღებული 10—15 წუთით ადრე ჰამამდე ან საჭმელთან ერთად, კუჭის სეკრეციულ ფუნქციას და მისი წვენის მჟავეობას აძლიერებს. ამ შემთხვევაში ქიმიური რეაქციის, შედეგად, რომელსაც ადგილი აქვს მინერალური წყლის წამყვანი შემადგენელი შენაერთის — სოდის (NaHCO_3) და საჭმლით გამოწვეული

კუჭის სეკრეციაში (კუჭის წვენის შემადგენლობაში) არსებულ მარტილმჟავას შორის ქიმიური რეაქციის შედეგად წარმოიშობა ნახშირმჟავა გაზი და სუფრის მარილი, რომლებიც კუჭის სეკრეციული აპარატის ამგზნებს წარმოადგენს და კუჭის წვენის სეკრეციასა და მჟავიანობას აძლიერებს. აქედან გამომდინარე, იმ დაავადებათა შემთხვევაში, რომელთაც თან სდევს წვენის მჟავეობის დაქვეითება, ავადმყოფს აღნიშნული მინერალური წყლები საჭმელთან ერთად ან ჰამამდე 10—15 წუთით ადრე უნდა მიეცეს.

მინერალური წყალი აძლიერებს კუჭის ევაკუაციურ და მოტორულ ფუნქციას; ამ წყლების ასეთი მოქმედების შედეგად საჭმელი მალე გადადის კუჭიდან თორმეტგოჯა ნაწლავში, ამით მცირდება საჭმლის მიერ კუჭის ლორწოვან გარსსა და მის სეკრეციულ აპარატზე გამაღიზიანებელი მოქმედება, მაშასადამე, მცირდება კუჭის წვენის გამოყოფის პერიოდიც, რასაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ქრონიკული მჟავე გასტრიტებისა და ქრონიკული წყლულოვანი დაავადების შემთხვევებში. ნახშირმჟავა გაზი, რომელსაც ეს წყლები მნიშვნელოვანი რაოდენობით შეიცავს, წარმოადგენს კუჭის ლორწოვანი გარსის გამაღიზიანებელს და კუჭის სეკრეციული აპარატის ამგზნებს. სწორედ ამიტომ იმ დაავადებათა შემთხვევაში, რომელთა თანამგზავრია კუჭის წვენის მჟავეობის მომატება, ავადმყოფს უნდა მიეცეს დეგაზირებული და შემთბარი მინერალური წყალი. ასეთი სახით მიღებული ტუტე-მინერალური წყალი ადვილად ხსნის და მექანიკურად ჩამორეცხს ლორწოს, რომელიც ფარავს კუჭის ლორწოვან გარსს, განსაკუთრებით ლორწოვანას კატარის შემთხვევებში, და ხელს უშლის კუჭის წვენის ნორმალურ სეკრეციას. ამავე დროს თბილი, დეგაზირებული მინერალური წყალი თავს იჩენს ანტიკატარულ (ანთების საწინააღმდეგო) და ანალგეტიკურ (ტკივილების გამაყუჩებელ) მოქმედებას ანთებად პროცესში მყოფ კუჭის ლორწოვან გარსზე. ლორწოს გამხსნელი, მისი ჩამორეცხი, ანტიკატარული და ანალგეტიკური თვისებებით უნდა აიხსნას. თბილი მინერალური წყლის გამოყენება აგრეთვე მიზანშეწონილია კუჭის გამოსარეცხად და სიფონიური ოყნებისათვის, რაც იწვევს ავადმყოფობის სუბიექტური მდგომარეობის გაუმჯობესებას ქრონიკული ლორწოვანი გასტრიტების შემთხვევაში.

მინერალური წყლების (განსაკუთრებით თბილი მინერალური წყლის) ნაღველმდენი და ნაღველგამათხიერებელი, გამომრეცხი და

ანტიკატარული მოქმედება საფუძვლად უდევს ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის და სანაღვლე გზების დაავადებებს.

ჩატარებული ექსპერიმენტული და კლინიკური დაკვირვებებით დადგენილია ბორჯომისა და საირმის ტიპის მინერალური წყლების შარდმდენი, განმატუტეებელი და აგრეთვე ნივთიერებათა ცვლის მარეგულირებელი მოქმედება. გაძლიერებული დიურეზი ხელს უწყობს შარდგამომყოფი გზებიდან პათოლოგიური პროცესების შედეგად დაგროვილი ნივთიერებების — ლორწოს, ჩირქის და სხვათა გამორეცხვას. თუ ამას დავუმატებთ ტუტე მინერალური წყლების ანტიკატარულ, ლორწოგამხსნელ და ანალგეტიკურ მოქმედებას, აშკარა ხდება მინერალური წყლის გამოყენების მიზანშეწონილობა თირკმლების ფიალების, შარდის ბუშტის, შარდსადინარების ანთებისა (პიელიტების, ცისტიტების, ურეთრიტის) და აგრეთვე ნივთიერებათა ცვლის მოშლისა და მკავე დიათეზების შემთხვევებში. ამით დაავადებულებს აღნიშნული მინერალური წყლები უნდა დაენიშნოს უფრო მეტ დოზებში, ვიდრე ეს მიღებულია კუჭ-ნაწლავის ზემოთ ნახსენებ სხვა დაავადებათა დროს.

ზემოჩამოთვლილი მინერალური წყლები, როგორც ცნობილია, საკმაო კონცენტრაციით შეიცავს ნახშირმჟავა გაზს. როცა ეს გაზი კანის საშუალებით შეიწოვება სისხლში, იგი ცენტრალური ნერვული სისტემის წამყვანი მონაწილეობით იწვევს განსაზღვრულ ჰემოდინამიკურ ძვრებს, რაც კერძოდ, გულის კუნთის ტონუსის აღდგენაში (სათითურას ან ნარზანის აბაზანების მსგავსად) გამოიხატება. ამიტომ მიზანშეწონილად არის ცნობილი ნახშირმჟავა-ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმის წყლების აბაზანების გამოყენება გულის სისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა დროს.

მთელი რიგი დაკვირვებებით დამტკიცებულია აგრეთვე თბილი მინერალური აბაზანების დამამშვიდებელი მოქმედება ნერვული სისტემის ფუნქციურ დაავადებათა შემთხვევაში.

ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმის წყლის ინჰალაცია ანტიკატარულ მოქმედებას იწვევს, ათხიერებს ლორწოს და ამსუბუქებს მის გამოყოფას ზემოსასუნთქი გზების კატარების შემთხვევაში.

მინერალური წყლების აბაზანები ორგანიზმზე ძირითადად სამი გამლიზიანებელი ფაქტორის სახით მოქმედებენ. პირველი ადგილი ამათ შორის თერმულ ფაქტორს (სითბოს ან სიცივეს) უჭირავს, მეორე — ქიმიურ ფაქტორს, ე. ი. ორგანიზმზე მინერალური წყლის ქი-

მიური შემადგენლობის (სხვადასხვა შენაერთების, იონების, გაზების) გავლენას, და უკანასკნელი, შედარებით უმნიშვნელო ფაქტორი მექანიკურ ფაქტორს უკავია.

ყველა ჩამოთვლილი ფაქტორი ადამიანის კანში მოთავსებულ სხვადასხვა რეცეპტორებზე (თერმო — ქემო და ბარო რეცეპტორებზე) მოქმედებს. სითბო-სიცივე — თერმო რეცეპტორებზე, ქიმიური ფაქტორები — ქემო რეცეპტორებზე და მექანიკური ფაქტორი (წყლის წნევა აბაზანაში) — ბარო რეცეპტორებზე. ამ სხვადასხვა სახის რეცეპტორებში გამოწვეული გაღიზიანება გადაეცემა ცენტრალურ ნერვულ სისტემას — თავის ტვინის დიდი ჰემისფეროების ქერქს, რომელიც სათანადო რაციონალურ მარეგულირებელ საპასუხო რეაქციას იძლევა.

ცნობილია, რომ ზოგიერთ წყალში შემავალი აირები (გაზები), მაგალითად ნახშირორჟანგი — ნახშირორჟანგიან წყლებში (ნარზანის ტიპის წყლები) ან აირი გოგირდწყალბადი — გოგირწყალბადიან წყლებში (მენჯი — მაცესტას ტიპის) შედის კანში და იქ არსებულ ცილებზე მოქმედებს, მათი დაშლის შედეგად წარმოშობს ნივთიერება პისტამინს და მის მსგავს შენაერთებს, რომლებიც სათანადო რეცეპტორებზე და თავის ტვინის ქერქზე მოქმედების შედეგად პერიფერიული სისხლის ძარღვების კაპილარების გაგანიერებას იწვევენ, რის შედეგად სისხლის გადაადგილება-გადანაწილება ხდება პერიფერიისაკენ. ამასვე მოჰყვება გულის კუნთის დასვენება — გულის დიასტოლის გახანგრძლივება და მისი ტონუსის აღდგენა, რის შედეგადაც გულის კუნთის შეკუმშვა (სისტოლა) ძლიერდება, ე. ი. უმჯობესდება სისხლის მიმოქცევა — ორგანიზმში ხდება გულის კუნთის ნორმალური ფუნქციის აღდგენა. ეს მდგომარეობა ხელს უწყობს სხეულის სხვადასხვა ნაწილში უმოქმედოდ არსებული სისხლისა და მისი შემადგენელი ელემენტების ამოძრავებას და სისხლის საერთო ცირკულაციაში მონაწილეობის მიღებას, რასაც გარკვეული დადებითი მნიშვნელობა აქვს.

წყლის პროცედურები მათი თერმული ფაქტორის მოქმედებასთან დაკავშირებით ხშირად იწვევენ მთელი რიგი სისტემების მავარჯიშებელ გავლენას; მაგალითად, ცივი პროცედურის ხანმოკლე მოქმედება კანის სისხლძარღვების (კაპილარების) შევიწროებას იწვევს, რასაც ამავე ძარღვების გაგანიერება მოჰყვება, თბილი პროცედურა კი კანის სისხლძარღვების გაგანიერებას იწვევს. ცხელი პროცედურა

პირიქით, კანის სისხლძარღვების ხანმოკლე შევიწროებას, რასაც მოჰყვება ამავე სისხლძარღვების შემდგომი გაგანიერება.

როგორც ზემოთ ვთქვით, მინერალური წყლების აბაზანების მიღების შედეგად წყალში შემავალ ნივთიერებათა მიერ კანის რეცეპტორების გაღიზიანება ხდება, რაც ცენტრალურ ნერვულ სისტემას — ტვინის ქერქს გადაეცემა და ამას კი ქერქიდან გამომდინარე სათანადო მიზანშეწონილი საპასუხო რეაქცია მოჰყვება. წყლის მინერალიზაციის ნაწილი — იონები კანის საშუალებით სხეულში შეიჭრებიან, აღიზიანებენ სხეულის სხვადასხვა ორგანოებსა და ქსოვილებში მოთავსებულ შიდა რეცეპტორებს (ინტერორეცეპტორებს), რაც თავის ტვინის ქერქს გადაეცემა, ეს უკანასკნელი საპასუხო რეაქციას იძლევა, რასაც სათანადო სამკურნალო ეფექტი მოჰყვება.

მინერალური წყლის აბაზანების და საერთოდ წყლის აბაზანების მიღებისას ორგანიზმზე აგრეთვე თავისებურ გავლენას ახდენს ეგრეთწოდებული მექანიკური ფაქტორი, რაც გამოიხატება შემდეგში: აბაზანაში წყლის დაწოლა პერიფერიულ და მუცლის ორგანოების სისხლძარღვთა სისავსეს ცვლის, აძნელებს სისხლის მიმოქცევას, გულის მუშაობას და ამასთან ერთად გულმკერდის სუნთქვის მოძრაობას. სწორედ აბაზანის ასეთი მოქმედებით აიხსნება, რომ ზოგი ავადმყოფი ვერ იტანს საერთო აბაზანას წყალში მთლიანი სხეულის მოთავსებით (კისრამდე); ასეთი აბაზანა არასასიამოვნო მოვლენებს იწვევს, განსაკუთრებით ზედმეტად მგრძობიარე და გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებით შეპყრობილ პირებში.

კლიმატურ კურორტებზე ძირითადი ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები — კლიმატური ელემენტებით გამოწვეული გაღიზიანება სათანადო რეცეპტორების საშუალებით ცენტრალურ ნერვულ სისტემას — თავის ტვინის დიდი ჰემოსფეროების ქერქს გადაეცემა, რომლის მიზანშეწონილი რეაქციის შედეგად ორგანიზმში მთელი რიგი მნიშვნელოვანი ფიზიოლოგიური-ბიოქიმიური ძვრები ხდება.

მაგალითად, მთის კლიმატის ფიზიოლოგიური მოქმედების შედეგად სისხლში წითელი ბურთულებისა და ჰემოგლობინის რაოდენობა მატულობს, სუნთქვა ღრმავდება, ხშირდება. ავადმყოფი მთის კლიმატის პირობებში პირველ ხანებში განიცდის აგზნებას, მოუსვენრობას, უძილობას, მაგრამ ორგანიზმი მალე ეგუება კლიმატის პირობებს და იგი დამშვიდებულ მდგომარეობას უბრუნდება. მაღალი მთის კლიმატი ავარჯიშებს და ამავრებს ორგანიზმის მთელ რიგ სისტემებს, მის საერთო ბიოლოგიურ უნარიანობას, გულმკერდი ფარ-

თოვდება, სასუნთქი კუნთები ვითარდება და სხვ. საერთოდ, მთის კლიმატი ორგანიზმს დიდ მოთხოვნილებებს უყენებს ფაეისი გამალიზიანებელი მოქმედებით, ხოლო შემდეგ იგი ითვისებს კლიმატის გავლენას, განიცდის შეჩვევას ან, როგორც ჩვენ ვუწოდებთ, აკლიმატიზაციის პროცესს — ეგუება მას, მაგრამ ამისათვის საჭიროა მას შენარჩუნებული ჰქონდეს სათანადო უნარი-ძალა, ურომლისოდაც მთის ჰავას უარყოფითი გავლენა შეუძლია მოახდინოს ორგანიზმზე, განსაკუთრებით გულსისხლძარღვთა და ნერვულ სისტემაზე, სასუნთქ ორგანოებზე და სხვ., რაც შეიძლება გამოვლინდეს გულის ცემის აჩქარებაში, თავბრუსხვევაში, თითების კანკალში, ნერვულობაში, უძილობასა და საერთო მდგომარეობის გაუარესებაში.

სწორედ ამიტომ საჭიროა მთის კლიმატურ სადგურზე გასაგზავნ ავადმყოფთა წინასწარი საექიმო შემოწმება, რომ ავადმყოფმა სარგებლობის მაგიერ ზიანი არ განიცადოს.

საერთოდ, მთის ჰავის პირობებში მკურნალობისათვის ნაჩვენებია ფილტვების, სეროზული აპკების, ძვალ-სახსართა, ლიმფური ჯირკვლების, კანის და სხვა ორგანოთა ტუბერკულოზი, ბრონქული ასთმა, ქრონიკული ბრონქიტი, პლევრიტი, მეორეული სისხლნაკლებობა, რაქიტი, ნერვული სისტემის ფუნქციური დაავადებები და სხვ.

წინააღმდეგ ჩვენებებში მხედველობაში უნდა ვიქონიოთ გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებები დეკომპენსაციის პერიოდში — მკვეთრად გამოხატული ათეროსკლეროზი, ჰიპერტონული სნეულების მე-2 და მე-3 სტადია, თირკმელების სკლეროზი, ფილტვების ტუბერკულოზი დეკომპენსაციის სტადიაში, ცენტრალური ნერვული სისტემის ორგანული დაავადებანი, ნევროზების შორსწასული ფორმები, ეპილეფსია, ფსიქოზები, გამოხატული საერთო სისუსტე, მწვავე სიცხიანი დაავადებები და სხვ., რომლებიც საერთოდ წინააღმდეგ ნაჩვენები არიან კურორტებზე მკურნალობისათვის.

ზღვის კლიმატის ფიზიოლოგიური მოქმედება ორგანიზმზე განსხვავდება მთის კლიმატის მოქმედებისაგან, მაშინ, როდესაც მთის კლიმატი იჩენს გამალიზიანებელ — ამგზნებ გავლენას, ზღვის ჰავა, პირიქით, იწვევს ორგანიზმის ნერვულ სისტემაზე დამამშვიდებელ მოქმედებას. იგი არ უყენებს ორგანიზმს დიდ მოთხოვნილებებს, არ აღიზიანებს მას, პირიქით, ამშვიდებს მის ნერვულ სისტემას. აქაც სისხლის ჰემოგლობინი და წითელი ბურთულები მატულობენ, სისხლის წნევა, თუ იგი მომატებულია, ჩვეულებრივ კლებულობს, სუნთქვა იშვიათდება, ღრმავდება, მაჯა უმჯობესდება,


ნელდება, გულის მოქმედება ძლიერდება, ნახველის გამოყოფა ადვილდება სასუნთქი ორგანოების ლორწოვანი გარსის სეკრეციის გამოყოფის გამო; გაზთა ცვლა ძლიერდება და სხვ.

ორგანიზმზე ზღვის ჰავის თავისებური დამზოგავი მოქმედების გამო აქ მკურნალობისათვის ნაჩვენებია შემდეგი დაავადებანი: გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებები დეკომპენსაციის პირველ და მეორე სტადიაში, ფილტვების ტუბერკულოზი დეკომპენსაციის თითქმის ყველა სტადიაში, მეტად მძიმე შორსწასული ფორმების გამოკლებით, ძვლების, სახსრების, ლიმფური ჯირკვლების, სეროზული აპკებისა და სხვა ორგანოთა ტუბერკულოზი, ნერვული სისტემის ფუნქციური დაავადებანი, სასუნთქი გზების არატუბერკულოზური დაავადებანი — ქრონიკული ბრონქიტი, ყელისა და ხახის ქრონიკული ანთებადი პროცესები, რაქიტი, საერთო სისუსტე და მეორადი სისხლნაკლებობა, ბრონქული ასთმის მსუბუქი ფორმები შედარებით უფრო მშრალი ზღვის კლიმატის პირობებში და სხვ.

ზღვის ჰავის პირობებში მკურნალობის წინააღმდეგ ჩვენებები მთის კლიმატთან შედარებით უფრო ნაკლებია. არაა ნაჩვენები ნეფრიტები და ნეფროზები (თირკმლების ანთებადი პროცესები), გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებებისა და ფილტვების ტუბერკულოზის მძიმე, შორსწასული ფორმები დეკომპენსაციის მესამე სტადიაში და აგრეთვე ის დაავადებანი, რომლებიც საერთოდ წინააღმდეგ ნაჩვენები არიან კურორტებზე მკურნალობისათვის.

კურორტულ-სამკურნალო ფაქტორების კომპლექსის მიზანშეწონილი გამოყენება მიზნად ისახავს უპირობო და პირობითი რეფლექსების საშუალებით თავის ტვინის ქერქოვანი კომპონენტების კომპენსატორული და ვიკალური პროცესების მობილიზაციას და ამით ორგანიზმის ეფექტურ ბრძოლას პათოგენურ ფაქტორთა წინააღმდეგ.

მინერალური წყლის სხვადასხვა სახით გამოყენება (დალევა, აბაზანების მიღება, ინჰალიაცია, გამორეცხვა და სხვ.) შეხამებული უნდა იყოს მრავალი სხვა სამკურნალო საშუალების კომპლექსურ გამოყენებასთან, რაც ორგანიზმზე საერთო ზემოქმედებას და, ამასთან დაკავშირებით მთლიანი ორგანიზმის რეაქტივობის გადახალისებას იწვევს.



კურორტთერაპიის წარმატება ბევრად არის დაკავშირებული სა-
კურორტო-სამკურნალო ფაქტორების მიზანშეწონილ შეთავსებასა
და აგრეთვე ამ კურორტზე არსებული ყველა სამკურნალო საშუალებ-
ის მოხერხებულ კომპლექსურ გამოყენებასთან (დიეტთერაპია, ფი-
ზიოთერაპია, სამკურნალო ფიზკულტურა, ჰაერისა და მზის აბაზანე-
ბი, მასაჟი, დოზირებული სეირნობა-ტერენკური, მედიკამენტური
და სხვა სახის მკურნალობა). აღნიშნულ ფაქტორთა შეხამებული
გამოყენება საერთო რაციონალური რეჟიმის ფონზე მაქსიმალურ
სამკურნალო ეფექტს იძლევა.

Проф. М. Ю. Нодия

КУРОРТЫ ГРУЗИИ

(На грузинском языке)

Государственное издательство

„Сაბჭოთა საქართველო“

Тбилиси

1963



ეროვნული
ბიბლიოთეკა